

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2018 წლის 31 დეკემბერი

მარტი 2019
თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8
დასკვნის ბოლო გვერდი	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

არამოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

არამოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ ქონდა გაკეთებული მისი კუთვნილი აქტივების შეფასება მათი სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპანიის ბალანსზე აღრიცხული აქტივების უდიდეს ნაწილს უძრავი ქონება წარმოადგენს და მისი ღირებულება არ იცვლება მკვეთრად დროთა განმავლობაში, აღნიშნული გარემოება არ გვაძლევს საშუალებას დასაბუთებულად ვიმსჯელოთ აქტივების ღირებულებაზე.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამატებითი ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია დამატებით ინფორმაციაზე. დამატებითი ინფორმაცია შედგება მმართველობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას), რომლებიც სავარაუდოა, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება არ ვრცელდება დამატებით ინფორმაციაზე, მათ შორის, მმართველობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული დამატებითი ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს არსებითად არასწორი ან არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა დამატებით ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის. ამასთან, ვალდებულები ვართ

გამოვხატოთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს მმართველობის ანგარიშგება “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ISAs-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ISAs-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

-)] ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
-)] გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
-)] სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

) ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის არამოდიფიცირებული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა არის დავით გვეტაძე.



31, მარტი 2019 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
 ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	19,668,273	19,895,284
არამატერიალური აქტივები		54,900	67,712
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	13,521,304	5,587,972
სულ გრძელვადიანი აქტივები		33,244,477	25,550,969
მიმდინარე აქტივები			
წინასწარ გადახდილი გადასახადები	7	672,462	491,639
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	457,336	357,241
სავაჭრო მოთხოვნები	9	206,526	174,438
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	9	1,762	5,934
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	3,528,486	15,938,086
სულ მიმდინარე აქტივები		4,866,572	16,967,337
სულ აქტივები		38,111,049	42,518,306
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	11	523,162	210,574
სულ მიმდინარე ვალდებულებები		523,162	210,574
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	12	9,818,004	3,963,130
ნაგავსაყრელების დახურვის და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხები	13	17,009,624	17,158,152
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		26,827,628	21,121,282
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	78,743,317	82,695,504
აკუმულირებული მოგება (ზარალი)		(63,955,976)	(55,793,632)
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)		(8,692,321)	(8,162,345)
სხვა რეზერვები და დაფინანსება		4,665,239	2,446,922
სულ კაპიტალი		10,760,259	21,186,450
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		38,111,049	42,518,306

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

31 მარტი 2019 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
 ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	2018 წელი	2017 წელი
შემოსავლები			
შემოსავალი რეალიზაციიდან	15	705,969	402,167
ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგი	15	843,834	68,010
სხვა შემოსავალი	15	393,562	47,415
სულ შემოსავალი		1,943,365	517,592
ხარჯები			
ხელფასები	16	3,857,195	3,470,146
ნაგავსაყრელების მოვლა-მომსახურების ხარჯები	16	1,339,513	1,268,157
ცვეთა და ამორტიზაცია	16	1,668,273	1,698,132
დიზაინის და საკონსულტაციო ხარჯები	16	106,714	88,427
მძიმე ტექნიკისა და დანადგარების რემონტი	16	1,224,752	212,929
ოფისის იჯარა	16	230,572	224,231
საწვავი და ტრანსპორტირება	16	88,500	276,574
მივლინებები	16	25,290	31,173
უნიფორმები და აღჭურვილობა	16	35,800	51,806
კომუნალური და საკომუნიკაციო	16	126,155	119,658
მარკეტინგული ხარჯები	16	19,040	22,304
წარმომადგენლობითი ხარჯები	16	348	7,427
ქონების გადასახადის ხარჯი	16	541,795	547,244
ბანკის საკომისიო	16	5,348	3,143
საკანცელარიო ხარჯები	16	7,972	6,781
სხვა საერთო ხარჯები	16	82,873	66,889
სულ ხარჯები		9,360,140	8,095,023
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	15	608,222	433,967
სასესხო ხარჯები		1,300,806	273,917
კურსის ცვლილებით მიღებული (მოგება) / ზარალი		172,370	(1,642)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(8,281,729)	(7,415,739)
მოგების გადასახადის შემოსავალი / (ხარჯი)		-	-
წმინდა მოგება		(8,281,729)	(7,415,739)
სხვა საერთო შემოსავალი / (ხარჯი)		(410,592)	(746,606)
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(8,692,321)	(8,162,345)

ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

31 მარტი 2019 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
 ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სხვა რეზერვები და დაფინანსება	სულ
ბალანსი 31/12/2016	56,105,511	(55,793,632)	-	311,879
შენატანები კაპიტალში წმინდა მოგება / (ზარალი)	26,589,993	(8,162,345)		26,589,993 (8,162,345)
სხვა რეზერვები და დაფინანსება			2,446,922	2,446,922
ბალანსი 31/12/2017	82,695,504	(63,955,977)	2,446,922	21,186,450
შენატანები კაპიტალში კაპიტალის შემცირება	1,579,663 (5,531,850)			1,579,663 (5,531,850)
წმინდა მოგება / (ზარალი)		(8,692,321)		(8,692,321)
სხვა რეზერვები და დაფინანსება			2,218,316	2,218,316
ბალანსი 31/12/2018	78,743,317	(72,648,298)	4,665,238	10,760,258

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

31 მარტი 2019 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
 ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2018 წლის 31 დეკემბერი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
ფულადი ნახადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფული		798,019	482,543
საქონელსა და მომსახურებაზე გადახდილი ფული		(8,633,769)	(1,734,478)
გადახდილი ხელფასები		(3,059,682)	(2,767,825)
ბანკის საკომისიო		(5,348)	(3,143)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან		608,222	433,967
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები		(10,292,558)	(3,588,936)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხა		(1,925,929)	(3,633,745)
წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადები		(1,925,929)	(3,633,745)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის შევსება		1,110,125	20,000,000
სესხებთან დაკავშირებული ხარჯები		(1,300,806)	(1,020,523)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(190,681)	18,979,477
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში		(12,409,168)	11,756,796
<i>ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში</i>		<i>15,938,086</i>	<i>4,179,821</i>
<i>მოგება / (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან</i>		<i>(432)</i>	<i>1,468</i>
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		3,528,486	15,938,086

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

31 მარტი 2019 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოში როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 24 აპრილს. კომპანიის ბიზნეს მისამართი არის თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩა #10 და იურიდიული მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი #12. კომპანიის 100% წილის მფლობელია სახელმწიფო, რომელმაც 100%-იანი წილი მართვის უფლებით გადასცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და იფრასტრუქტურის სამინისტროს.

კომპანია ახორციელებს მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონების მართვას მთელი საქართველოს მასშტაბით, გარდა ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა. მყარი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება პოლიგონამდე არ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ნაწილს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. კომპანიის ძირითადი კლიენტები არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. წარმოდგენილ პერიოდებში კომპანია მუნიციპალიტეტებს უსასყიდლოდ უწევდა მომსახურებას. კომპანიის კლიენტები ასევე არიან კერძო კომპანიები, რომლებსაც აქვთ საწარმოო ნარჩენები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანია იღებდა შემოსავალს აღნიშნული კომპანიებიდან, თუმცა კერძო კომპანიებიდან მიღებული შემოსავალი და ნარჩენების მოცულობა არის უმიშვნელო.

ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს 54 ნაგავსაყრელი აქედან 23 ნაგავსაყრელი დახურულია, 31 ნაგავსაყრელი მოქმედია. გარდა ამისა კომპანიას საკუთრებაში აქვს 14 მიწის ნაკვეთი სადაც მომავალში განთავსდება ნაგავსაყრელი ან ნარჩენების გადამტვირთი სადგური. ანგარიშგების თარიღისათვის დახურულია 23 ძველი ნაგავსაყრელი. გარდა რუსთავის ნაგავსაყრელისა და თერჯოლის რაიონში და მარნეულში დაგეგმილი ნაგავსაყრელებისა ყველა ნაგავსაყრელი არის ძველი რომლებიც გამოიყენება 10-60 წელია. კომპანია გეგმავს დახუროს ყველა ძველი ნაგავსაყრელი 2023 წლამდე პერიოდში (2015 წელს მიღებული ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად) და მოაწყოს ახალი ნაგავსაყრელები ახალ მიწის ნაკვეთებზე. ახალი ნაგავსაყრელები იქნება თანამედროვე საერთაშორისო ნორმების შესაბამისი.

საოპერაციო გარემო

კომპანიის 100% წილის მფლობელი სახელმწიფოა და მისი საქმიანობა არ წარმოადგენს მთლიანად კომერციულ ინტერესს, არამედ მიზნად ისახავს ემსახუროს საზოგადოებრივ ინტერესს. ფინანსური თვალსაზრისით ეს გულისხმობს რომ, მაშინაც კი როდესაც კომპანია არ გამოიმუშავებს შემოსავალს და ზარალის მომტანია, სახელმწიფო გააგრძელებს მის მხარდაჭერას და შესაბამისად კომპანია გააგრძელებს საქმიანობას.

საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის დასაწყისში დაამტკიცა „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც 2015 წლის 15 იანვრიდან ამოქმედდა. ახალი კანონის მიზანია, ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების დანერგვისთვის, რაც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას და მათ უსაფრთხო განთავსებას. „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ითვალისწინებს ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვას საქართველოში.

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ნარჩენების მართვა რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, რომლის მონაწილეცაა საქართველო და რომლითაც რეგულირდება გარემოს დაცვის სფერო და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა. ეს კონვენციებია: ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლის შესახებ, როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ და გაეროს

ეკონომიკური კომისიის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხის შესახებ (ორჰუსის კონვენცია).

საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო დონორების დახმარებით ამჟამად ახორციელებს და გეგმავს მომავალში პროექტებს გარემოსდაცვითი და ნარჩენების მართვის სფეროში, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში ნარჩენების მართვის, სისტემის და ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2018	31 დეკ 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბას-ის (IASB) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამოიცხადებს ალბათობას, რომ საბოლოო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანაშრომლის ჩათვლით), მრჩევის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას

გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
მიწა (ნაგავსაყრელები)	3-8
შენობა ნაგებობები	20
ბუღდოზერები, ტრაქტორები და სხვა მძიმე ტექნიკა	7
სატრანსპორტო საშუალებები	5-7
ოფისის აღჭურვილობა და სხვა აქტივები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რო დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

სესხები

კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასესხო ვალდებულებები, თუმცა მათი არსებობის შემთხვევაში, სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

გადასახადები

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება გამოყენებული საგადასახადო დანაკარგებისთვის, იმდენად რამდენადაც სავარაუდოა, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება დანაკარგების გამოყენებისთვის. მენეჯმენტის მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს გადავადებული საგადასახადო აქტივის ღირებულება, რომელიც შეიძლება აღიარდეს, მომავალ დასაბეგრ მოგებასა და მომავალ საგადასახადო სტრატეგიაზე დაყრდნობით.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები რომლებიც ძალაშია 2016 წლის პირველი იანვრიდან.

ბასს 16 და ბასს 38-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემული 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს სრულ საბალანსო ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთაზე/ამორტიზაციაზე არსებულ მიდგომას კომპანიის მიერ გადაფასების მოდელის გამოყენების შემთხვევაში. იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფი არ იყენებს გადაფასების მოდელს, ეფექტი არ ვრცელდება კონსოლიდირებულ ფინანსურ უწყისებზე

J ბასს 19-ის შესწორება სახელწოდებით „დადგენილი შეღავათების სისტემა: თანამშრომლების შენატანები (გამოცემულია 2013 წლის ნოემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება მუშაობის პერიოდზე თანამშრომლების ან სერვისთან დაკავშირებული მესამე პირების მიერ განხორციელებული კონტრიბუციების განაწილება. კონკრეტულად, კონტრიბუციები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ნამუშევარი წლების რაოდენობაზე, შესაძლებელია აღიარებული იყოს მომსახურების ხარჯების შემცირებად იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა (მუშაობის პერიოდზე გადანაწილების ნაცვლად).

J ბასს 24-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, თუ როგორ ხდება ისეთი სუბიექტებისთვის გადახდილი თანხების წარდგენა, რომლებიც წარმოადგენენ წამყვანი მმართველი პერსონალის სერვისის მომწოდებლებს.

J ბასს 40-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, როგორ ხდება საინვესტიციო ქონების შეძენისას ფასს 3 და ბასს 40 სტანდარტების გამოყენება. ბასს 40 სტანდარტი გამოიყენება საინვესტიციო ქონებისა და მფლობელის მიერ დაკავებული ქონების გამიჯვნაში, ხოლო ფასს 3 იმის დადგენაში, არის თუ არა საინვესტიციო ქონების შეძენა კომპანიების შერწყმა (ბიზნეს კომბინაცია).

J ფასს 3-ის შესწორება (ფასს-ის 2011-2013 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ სამომავლო საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 3 მოქმედების სფერო არ მოიცავს საერთო მმართველობის ორგანიზაციის წარმოქმნის აღრიცხვას ამავე ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებებში.

J ფასს 8-ის შესწორება (ფასს-ის 2010-2012 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, მოითხოვს მენეჯმენტის მიერ საოპერაციო სეგმენტებზე გაერთიანების კრიტერიუმების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული მსჯელობის შენიშვნის სახით წარდგენას. ასევე შესწორება განმარტავს, რომ რეკონსილაცია საოპერაციო სეგმენტის სრულ აქტივებსა და კომპანიის აქტივებს შორის აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სეგმენტის აქტივების წარდგენა ხდება რეგულარულად.

J ფასს 13-ი 2013 წლის დეკემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2014 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ ფასს 13-ში არსებული პორტფელის გამონაკლისი, რომელიც აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება გაზომოს ნეტო ღირებულებით, შესაძლებელია გამოყენებული იყოს ბასს 39 და ფასს 9 სტანდარტების მოქმედების სფეროში შემავალი ნებისმიერი კონტრაქტისთვის.

- ბასს 1-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა უფრო დეტალურ მითითებებს მატერიალურობასა და შეჯამებაზე, ქვეჯამების წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგებების სტრუქტურასა და საადრიცხვო პოლიტიკების წარდგენაზე.
- ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორება სახელწოდებით „ამორტიზაციისა და ცვეთის მისაღები მეთოდების განმარტება“ (გამოშვებულია 2014 წლის მაისში) - შესწორებები ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე სამომავლოდ შესწორებები იძლევა დამატებით მითითებებს და ამასთან განმარტავს, რომ:
- შემოსავლის მეთოდით აქტივების ცვეთის გამოთვლა არ არის მისაღები, რადგან აქტივის გამოყენებით მიღებული შემოსავლის გამომუშავებაში ძირითადად სხვა ფაქტორებიც იღებენ მონაწილეობას გარდა აქტივის ეკონომიკური სარგებლის გამოყენებისა;
 - შემოსავალი ზოგადად მიჩნეულია არამართებულ საფუძვლად ეკონომიკური სარგებლის საზომად არამატერიალურ აქტივებთან მიმართებაში, თუმცა კონკრეტული გარემოებების შემთხვევაში შესაძლებელია ამ წესის უარყოფა.
- ბასს 16-ისა და ბასს 41-ის შესწორება სახელწოდებით „სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მქონე მცენარეები (გამოცემულია 2014 წლის ივნისში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განსაზღვრავს ნაყოფის მქონე მცენარეებს (ცოცხალ მცენარეებს, რომლებიც გამოიყენება რამდენიმე პერიოდის განმავლობაში ნაყოფის მისაღებად და, ძირითადად შემთხვევაში, პროდუქტიული ვადის გასვლის შემდეგ ხდება მათი განადგურება) და მიაკუთვნებს მათ ბასს 16-ის მოქმედების სფეროს, თუმცა ნაყოფი, რომელსაც ეს მცენარეები იძლევა კვლავ რჩება ბასს 41-ის მოქმედების სფეროში.
- ბასს 19-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორატიული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გამოიყენება საპენსიო სარგებლის განაკვეთის გამოთვლისას, უნდა იყოს იმავე ვალუტაში, რომელ ვალუტაშიც უნდა მოხდეს საპენსიო სარგებლის გადახდა.
- ბასს 27-ის შესწორება სახელწოდებით „კაპიტალის მეთოდი ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში“ (გამოცემულია 2014 წლის აგვისტოში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ ივლისს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აღადგენს კაპიტალის მეთოდს და აძლევს ორგანიზაციებს უფლებას, გამოიყენონ ეს მეთოდი შვილობილ კომპანიებში, საერთო მმართველობის ორგანიზაციებსა და ასოცირებულ ორგანიზაციებში ჩადებული ინვესტიციების აღსარიცხად მათ საკუთარ ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ფასს 5-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე პროსპექტულად, იძლევა დამატებით მითითებებს იმ შემთხვევისთვის, როდესაც ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივის რეკლასიფიკაცია მფლობელზე გასაცემად გამიზნულ აქტივად ან პირიქით. შესწორება ასევე იძლევა დამატებით მითითებებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ხდება გადასაცემად გამიზნული აქტივის აღრიცხვის შეწყვეტა.
- ფასს 7-ის შესწორება (ფასს-ის 2012-2014 ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება, გამოცემულია 2014 წლის სექტემბერში) - შესწორება, რომელიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, იძლევა დამატებით მითითებებს იმის დასადგენად, კვლავ იღებს თუ არა მონაწილეობას მომსახურების კონტრაქტი გადაცემულ აქტივში.
- ფასს 10-ის, ფასს 12-ისა და ბასს 28-ის შესწორებები სახელწოდებით „საინვესტიციო ორგანიზაციები: კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენება“ (გამოცემულია 2014 წლის დეკემბერში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს საინვესტიციო ორგანიზაციებისა და მათი სუბსიდიებისთვის კონსოლიდაციის გამონაკლისის გამოყენების წესებს. არ არის მოსალოდნელი, რომ ეს რაიმე გავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

კომპანია ჯერ არ იყენებს შემდეგ დამატებებს ან ცვლილებებს, რომლების გამოცემულია IASB-ს მიერ, თუმცა 2017 წლის პირველი იანვრიდან დაწყებული ფინანსური წლისთვის ჯერ ძალაში არ არის.

მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ახალი სტანდარტების და შესწორებების გამოყენებას კომპანია დაიწყებს მათი ძალაში შესვლის დროს. კომპანიას, შესაბამისად, შეფასებული აქვს იმ ახალი სტანდარტებისა და შესწორებების პოტენციური გავლენა, რომლებიც ძალაში შევა მომავალ პერიოდებში.

- J ბასს 7-ის შესწორება სახელწოდებით „ინიციატივა შენიშვნების შესახებ“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას კომპანიის ფინანსური აქტივობების შესახებ.
- J ბასს 12-ის შესწორება (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - შესწორებები, რომლებიც ვრცელდება 2017 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, განმარტავს რეალური ღირებულებით აღრიცხულ სასესხო ინსტრუმენტთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აქტივის აღიარებას.
- J ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემულია 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.
- J ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.
- J ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.
- J ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.
- J ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.
- J აღიარების შეწყვეტის რეზერვები თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი ბასს 39 სტანდარტიდან.
მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია გამოიყენებს IFRS 9-ს საკუთარ ანგარიშგებებში, როდესაც ეს გახდება სავალდებულო და რომ ახალი სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე. თუმცა, დეტალური გადახედვის დასრულებამდე არ არის პრაქტიკული განისაზღვროს აღნიშნული გავლენის გონივრული შეფასება.
- J ფასს 16 „ლიზინგი“ (გამოცემულია 2017 წლის იანვარში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება 2019 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებულ საანგარიშგებო პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 17 სტანდარტს და მის ინტერპრეტაციებს (SIC-15, SIC-27 და IFRIC 4). სტანდარტში აღწერილია ლიზინგის აღრიცხვის საერთო მოდელი, რომლის მიხედვითაც მეიჯარემ უნდა აღიაროს აქტივი და ვალდებულება ყველა იჯარისთვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საიჯარო ვადა 12 თვეს არ აღემატება ან საიჯარო აქტივის ღირებულება დაბალია. მოიჯარე აგრძელებს აღიარებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, ფასს 16-ის შემთხვევაში მიდგომა დიდად არ განსხვავდება წინა მოქმედი

სტანდარტის (ბასს 17-ის) მიდგომისგან. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კომპანია დაიწყებს ფასს 16 სტანდარტის გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში მაშინ, როდესაც ეს სავალდებულო გახდება და ამ სტანდარტის გამოყენებას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს კომპანიის მიერ აღიარებული შემოსავლების რაოდენობაზე. თუმცა, დეტალური განხილვის ჩატარების გარეშე რთულია აღნიშნული ეფექტის განსაზღვრა.

5. ძირითადი საშუალებები

	ნაგავსაყრელები	შენიშნა- ნაგებობები	დაუმთავრებელი შენიშნა- მშენებლობა	მზიდვე ტექნიკა	სხვა ავტოტრანსპორტი	ოფისის აღჭურვილობა და სხვა აქტივები	ჯამი
ღირებულება 31- დეკ-2017	5,141,895	9,781,990	871,085	7,344,233	1,553,312	730,298	25,422,813
აკუმულირებული ამორტიზაცია	(600,985)	(998,008)	-	(2,708,585)	(903,439)	(316,512)	(5,527,528)
31-დეკ-2017							
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2017	4,540,909	8,783,982	871,085	4,635,649	649,874	413,787	19,895,284
შემოსვლები	469,538	216,650	1,164,032	728,315	-	4,958,718	7,537,252
აქტივის გასვლის დანახარჯების კაპიტალიზაცია	28,276	-	-	-	-	-	28,276
გასვლები	-	-	(1,442,517)	(1,200)	-	(4,703,640)	(6,147,357)
პერიოდის ცვეთა	(154,257)	(440,328)	-	(755,657)	(243,653)	(60,653)	(1,654,548)
გასული აქტივის აკუმულირებული ლი ამორტიზაცია	-	-	-	-	-	9,365	9,365
ღირებულება 31- დეკ-2018	5,639,708	9,998,640	592,600	8,071,348	1,553,312	985,376	26,840,984
აკუმულირებული ლი ამორტიზაცია	(755,242)	(1,438,337)	-	(3,464,241)	(1,147,092)	(367,799)	(7,172,711)
31-დეკ-2018							
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2018	4,884,466	8,560,303	592,600	4,607,107	406,220	617,577	19,668,273

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მოიცავს მიწის ნაკვეთებს, რომელიც განლაგებულია სხვადასხვა ადგილებში საქართველოს მასშტაბით და გამოყენებულია მყარი ნარჩენების პოლიგონად. ყველა აღნიშნული მიწა მიღებულია დამფუძნებლის მიერ კაპიტალში შენატანის სახით.

ნაგავსაყრელები კაპიტალში შეტანის მომენტისას შეფასებულ იქნა შპს „ბიზნეს აუდიტის“ დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. შეფასება გაკეთდა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აქტივების „ნორმატიული ფასის“ დადგენის მიზნით, რაც გულისხმობს, რომ ნაგავსაყრელების ღირებულება განსაზღვრულია იმ ნორმატიული ფასების მიხედვით, რომელიც დგინდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ.

ნაგავსაყრელების გაუფასურება

ნაგავსაყრელის გადაცემის მომენტისათვის მიწების ღირებულება შეფასებული იყო ნორმატიული ფასის მიხედვით, რომელსაც განსაზღვრავს ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. აღნიშნული ნორმატიული ფასი განსაზღვრულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი მიწისათვის. თუმცა, მიწის ნაკვეთები რომელსაც კომპანია ფლობს წარმოადგენს ძველ ნაგავსაყრელებს (გარდა სამისა რომელიც თერჯოლის რაიონში, მარნეულში და რუსთავეში მდებარეობს) რომლებიც მოიცავს როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, ასევე სამშენებლო და სხვა სახის ნარჩენებს, მიმდინარეობს ნარჩენების დამატება რაც აუარესებს მიწის მდგომარეობას, შესაბამისად აუფასურებს მის

ღირებულებას. აგრეთვე ნაგავსაყრელების უმრავლესობის გამოყენება უკვე შეჩერებულია და კომპანია გეგმავს რომ დახუროს ყველა ნაგავსაყრელი 2023 წლამდე პერიოდში და გააკეთოს დიდი რეგიონული ნაგავსაყრელები ახალ მიწებზე. აქედან გამომდინარე კომპანიისათვის მათი გამოყენებითი ღირებულება არის დაბალი. აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით აღნიშნული ნაგავსაყრელების ღირებულება გაუფასურდა და გაუფასურებით მიღებული ზარალი ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აღიარდა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

გაუფასურების ანალიზისათვის არ არსებობს ბაზარზე არსებული მდგომარეობის მიხედვით მტკიცება ნაგავსაყრელის რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის, რადგან აღნიშნული სახის აქტივებით ვაჭრობა არ ხდება საქართველოში და პირდაპირი გაყიდვების შედარების მეთოდი გამოუსადაგერია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის. დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი აგრეთვე ვერ გამოიყენება (1) არ გვაქვს ინფორმაცია ნაგავსაყრელების გამოყენებით მოსალოდნელი შემოსავლების რაოდენობის შესახებ (კომპანია მომსახურებას ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტებისათვის აწარმოებს უფასოდ და საფასო პოლიტიკა შეფასების მომენტშია) და (2) ნაგავსაყრელების გარკვეული ნაწილის გამოყენება შეჩერებულია და შესაბამისად მისგან შემოსავალს ვერ კომპანია მიიღებს. ამდენად, სამართლიანი ღირებულების დადგენა მოხდა უხეშად - ერთი ჰექტრის ღირებულება განისაზღვრა 1,000 ლარით.

ჩვენ არ გავაკეთეთ გაუფასურების შესწორება ახალ ნაგავსაყრელზე, რომლებზეც კომპანიისათვის მათ გადმოცემამდე არ იყო განთავსებული ნარჩენები, რადგან მივიჩნიეთ, რომ ახალი მიწის გაყიდვა ბაზარზე შესაძლებელია და ამდენად მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია. ჩვენ ვთვლით, რომ ასეთი მიწების საბალანსო ღირებულება ახლოსაა სამართლიან ღირებულებასთან.

6. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები	31-დეკ-2018	31-დეკ-17
SADE - COMPAGNIE GENERALE DE TRAVAUX D'HYDRAULIUE SA	5,601,751	-
PEM G.M.B.H.	2,850,851	1,115,400
რუსთავის ნაგავსაყრელის მწყობაზე გადახდილი ავანსი	2,027,384	2,482,611
INFRASTRUKTUR & UMWELT	1,711,385	1,222,329
ERM consulting services worldwide	1,304,190	767,777
სხვა ავანსები	25,743	(146)
სულ სხვა გრძელვადიანი აქტივები	13,521,304	5,587,972

სხვა გრძელვადიანი აქტივების ძირითად ნაწილს ნაგავსაყრელების პროექტების შესასრულებლად გადახდილი ავანსები წარმოადგენს. აქვე შედის საკონსულტაციო მომსახურებისათვის გადახდილი ავანსებიც.

7. წინასწარ გადახდილი / გადასახდელი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კოდექსზე დაყრდნობით შესაძლებელია კომპანიამ განაცალკევოს გადახდილი და გადასახდელი გადასახადები როგორც მოცემულია ცხრილში:

წინასწარ გადახდილი/გადასახდელი გადასახადები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
გადახდილი დღგ	5,994,462	4,419,179
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(3,097,614)	(2,353,830)
არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი	(1,434,183)	(1,029,624)
ქონების გადასახადი	(464,577)	(328,432)
გადასახდელი დღგ	(323,003)	(214,121)
სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი	(2,623)	(1,532)
სულ წინასწარ გადახდილი/გადასახდელი გადასახადები	672,462	491,639

დღგ-ის გაუმიჯნავ საქონლეზე/მომსახურებაზე მიღებული დღგ-ის ჩათვლების საგადასახადო ორგანოების მიერ გადაანგარიშების შემთხვევაში აქტივის სახით დაფიქსირებული თანხა დაექვემდებარება შემცირებას გაუქმებული ჩათვლილი დღგ-ის ოდენობით.

თუმცა, კომპანიის მენეჯმენტის განცხადებით იმ საქონელზე/მომსახურებაზე მიღებული ჩათვლები, რომელთა გამოჯვანაც შეუძლებელია, იმდენად მცირეა, რომ აღნიშნული ოპერაციის შედეგად გაუქმებულ ჩათვლას არსებითი ეფექტი არ ექნება.

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ნედლეული და მასალები	346,399	328,781
საწვავ-საცხები მასალები	91,122	15,799
სათადარიგო ნაწილები	12,191	12,386
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	7,624	275
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	457,336	357,241

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამოიზნული რაიმე მარაგები. კომპანიის ბალანსში აღიარებული მარაგები ძირითადად მოიცავს სამშენებლო მასალებსა და სხვა მსგავს მარაგებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიერ აუცილებელი მომსახურებების განსახორციელებლად. მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

9. სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სავაჭრო მოთხოვნები	206,394	173,980
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	133	458
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,762	5,934
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	208,288	180,372

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია მომსახურებას უწევს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს უსასყიდლოდ და დაფინანსებას იღებს დამფუძნებლისგან, სახელმწიფოსგან, კაპიტალის შევსება ხდება ფულადი და არაფულადი შენატანის აქტივის სახით. კომპანიის კლიენტები ასევე არიან კერძო კომპანიები, თუმცა მათი რაოდენობა მცირეა და შესაბამისად უმნიშვნელოა სავაჭრო მოთხოვნების ოდენობა.

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	3,526,634	15,925,031
ფული კორპორატიულ კრედიტ-ბარათებზე	1,851	1,721
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	-	11,334
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	3,528,486	15,938,086

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

11. კრედიტორული ვალდებულებები

კრედიტორული ვალდებულებები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
მოწოდებიდან და მომსახურებ. წარმოქმნ. ვალდებულებები	520,366	210,049
მომსახურება კერძო პირებისაგან	2,270	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	525	525
სულ კრედიტორული ვალდებულებები	523,162	210,574

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	31-დეკ-2018	31-დეკ-17
KfW Entwicklungsbank	7,658,606	1,360,729
EBRD - რუსთავი	2,027,384	2,482,611
EBRD	132,014	119,789
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9,818,004	3,963,130

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები სამი სესხის გან შედგება:

-)/ EBRD-ის სესხი გამოყოფილი რუსთავის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობისათვის.
-)/ KfW-ის სესხი გამოყოფილი ქუთაისის ნაგავსაყრელის სამშენებლო სამუშაოებისათვის
-)/ EBRD-ის სესხი გამოყოფილი ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების განვითარების პროექტისათვის, რომლიდანაც კომპანიას მხოლოდ 43,000 ევრო აქვს ათვისებული.

13. ნაგავსაყრელის დახურვისა და დახურვის შემდგომი დანახარჯების ანარიცხები

კომპანია ნაგავსაყრელების საბოლოო დახურვისა და დახურვის შემდგომი ვალდებულებების სავარაუდო ღირებულებას ადგენს საოპერაციო სამსახურის თანამშრომლების, ინჟინრებისა და ბუღალტრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. შეფასებები ეფუძნება მენეჯმენტის ინტერპრეტაციებს მიმდინარე მოთხოვნებსა და მარეგულირებელ ცვლილებებზე და უახლოვდება რეალურ ღირებულებას. კომპანიას აქვს გეგმა ძველი ნაგავსაყრელების დახურვის განრიგთან დაკავშირებით. ნაგავსაყრელის დახურვის ფაქტიური დრო შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გაკეთებულ გაანგარიშებაში გამოყენებული მონაცემებისგან. დღევანდელი დახურვის ხარჯის მომავალი ღირებულების განსაზღვრის მიზნებისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში მენეჯმენტმა წარმოადგინა ძველი ნაგავსაყრელების დახურვის დანახარჯები და მათი დახურვის ვადები. გაანგარიშებებში გამოყენებულია 11%-იანი განაკვეთი ნაგავსაყრელების დახურვის დანახარჯების მომავალი გადახდების მიმდინარე ღირებულების დასადგენად. მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ საშუალოდ ნაგავსაყრელების ტერიტორიის 80% უნდა დაიფაროს საბოლოო ფენით, რადგან ნაგავსაყრელების ტერიტორიის 20% გამოიყენება მომსახურების მიზნებისათვის (კადრების შენობა, ავტოფარეხი, გზა ა.შ)

ნაგავსაყრელებს დახურვის შემდგომაც ესაჭიროება გაუმჯობესება და მონიტორინგი. დახურვის შემდგომი დანახარჯები გამოანგარიშებულია თითოეული ნაგავსაყრელისათვის ინდივიდუალურად, სავარაუდოდ 30 წლის განმავლობაში, ესაა პერიოდი დაახლოებით რამდენიცაა საჭირო ნაგავსაყრელის დასახურად და განსაზღვრულია კომპანიის ტექნიკური დეპარტამენტის და კონსულტანტების მიერ. აღნიშნული დანახარჯების მიმდინარე ღირებულების გამოსაანგარიშებლად აღებული იქნა 11% დისკონტირების განაკვეთი.

2017 წელს მოხდა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება ნაგავსაყრელის დახურვის შემდგომი ანარიცხების წარმოდგენის კუთხით. იმის გამო რომ ნაგავსაყრელების დახურვის და მათი შემდგომი მომსახურების პროცედურა იკავებს ძალიან დიდ პერიოდს, დისკონტირების შედეგად მიღებული და შემდგომში ფორმულით გამოთვლილი ხარჯების სანდოობა დაბალია, ამიტომ მოხდება ანარიცხების ყოველწლიური გადახედვა. კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით სხვაობა საწყის ანარიცხებსა და მიმდინარე შეფასებას შორის აღირიცხება როგორც რეზერვი კომპანიის ბალანსის კაპიტალის მუხლში. 2017 წელს აღნიშნულმა სხვაობამ 2,446,922 ლარი შეადგინა ხოლო 2018 წელს აღნიშნული სხვაობა 2,224,506 ლარი იყო. საბოლოოდ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა რეზერვებისა და დაფინანსების აღრიცხულია 4,671,428 ლარი.

ნაგავსაყრელის დახურვისა და დახურვის შემდგომი ანარიცხები მოიცავს:

ნაგავსაყრელების დახურვის დანახარჯების ანარიცხები	31-დეკ-2018	31-დეკ-17
საბალანსო ღირებულება პერიოდის დასაწყისში	17,158,152	17,496,589
გაწეული დანახარჯები	(148,526)	(338,437)
საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს	17,009,525	17,158,152

14. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლის მიერ (სახელმწიფო, წარმოდგენილი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროთი) და ფორმირებულია როგორც ფულადი სახის ასევე არაფულადი აქტივის სახით შენატანით. 2018 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალის დეტალები მოცემულია ცხრილში:

შენატანის სახე	31-დეკ-2018	ბრუნვა პერიოდის განმავლობაში	31-დეკ-2017
ფულადი სახით შენატანი	68,298,125	1,110,125	67,188,000
არაფულადი აქტივის სახით შენატანი (ძირითადად მიწა)	16,422,886	469,538	15,953,348
უსასყიდლოდ გადაცემული აქტივების შესაბამისი კაპიტალის შემცირება	(5,977,694)	(5,531,850)	(445,844)
სულ საწესდებო კაპიტალი	78,743,317	(3,952,188)	82,695,504

15. შემოსავალი

შემოსავლები	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	705,969	402,167
ძირ. საშუალებებისა და არამატ. აქტივების რეალიზაცია	843,834	68,010
შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	608,222	433,967
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	393,562	47,415
სულ შემოსავლები	2,551,588	951,559

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია მომსახურებას უწევს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს უსასყიდლოდ და დაფინანსებას იღებს დამფუძნებლისგან, სახელმწიფოსგან, კაპიტალის შევსება ხდებოდა ფულადი და არაფულადი შენატანის სახით ამავდროულად კომპანია ემსახურება კერძო პირებსა და კომპანიებსაც. 2018 წელს კერძო კომპანიებისგან მიღებული შემოსავალი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. კომპანიამ კერძო ბიზნესის მომსახურების გაწევა 2014 წლიდან დაიწყო, თუმცა აღნიშნული შემოსავლის ოდენობა არასაკმარისია და მომავალი

პერიოდებისათვის არ არის მოსალოდნელი რომ შემოსავალი გაიზრდება იმდენად, რომ იგი იყოს საკმარისი კომპანიის მიმდინარე ხარჯების დასაფარად.

რაც შეეხება არასაოპერაციო შემოსავლებს მათ უდიდეს ნაწილს საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები წარმოადგენს.

16. ხარჯები

საოპერაციო ხარჯები

კომპანიის ხარჯები პირობითად ორ ძირითად ნაწილად შეიძლება გაიყოს. საოპერაციო ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული ნაგავსახურელების მომსახურებასთან და მათზე გამოყენებული ტექნიკის მოვლა პატრონობასთან და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები. საოპერაციო ხარჯები მოყვანილია ცხრილში:

საოპერაციო ხარჯები	2018 წელი	2017 წელი
დანახარჯები მძიმე ტექნიკებზე	1,224,752	212,929
ნაგავსახურელების მოვლა-მომსახურების ხარჯები	707,183	1,234,799
პოლიგონის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	632,330	520,384
სულ საოპერაციო ხარჯები	2,564,264	1,968,112

ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის და ამორტიზაციის ხარჯები.

გასათვალისწინებელია ის გარემოება რომ, 2018 წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა სასესხო ვალდებულებები ამგვარად მისი ფინანსური ხარჯები შედგება როგორც ბანკის საკომისიოსაგან ასევე საპროცენტო ხარჯებისაგან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და კომპანიას შორის გაფორმდა ქვე-სასესხო ხელშეკრულება და ხელი მოეწერა 2014 წლის ივნისში რის თანახმადაც კომპანია მიიღებს 20 მლნ ევროს სესხს ქუთაისის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთია 1,9%.

2015 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა ქვე-სასესხო ხელშეკრულებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და კომპანიას შორის რომლის თანახმადაც კომპანია მიიღებს სესხს 4.3 მილიონი ევროს ოდენობით ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პროექტთან დაკავშირებით.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოყვანილია ქვემოთ მდებარე ცხრილში.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2018 წელი	2017 წელი
ხელფასები	3,857,195	3,470,146
ცვეთა და ამორტიზაცია	1,668,273	1,698,132
სასესხო ხარჯები	1,300,806	273,917
ქონების გადასახადის ხარჯი	541,795	547,244
ოფისის იჯარა	230,572	224,231
კომუნალური და საკომუნიკაციო	126,155	119,658
დიზაინის და საკონსულტაციო ხარჯები	106,714	88,427
საწვავი და ტრანსპორტირება	88,500	276,574
უნიფორმები და აღჭურვილობა	35,800	51,806
მივლინებები	25,290	31,173
მარკეტინგული ხარჯები	19,040	22,304
საკანცელარიო ხარჯები	7,972	6,781
ბანკის საკომისიო	5,348	3,143
წარმომადგენლობითი ხარჯები	348	7,427
სხვა საერთო ხარჯები	82,873	66,889
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8,096,681	6,887,853

17. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცვენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია რეგულირდება სამართლებრივი მოთხოვნებით, რომლებიც გვხვდება სხვადასხვა კანონებსა და საკანონმდებლო აქტებში. საკანონმდებლო აქტების უმრავლესობა წინააღმდეგობაში მოდის არსებულ რეალობასთან. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მომავალმა განვითარებამ შესაძლოა გამოიწვევს კომპანიის საქმიანობის უფრო მკაცრი რეგულირება და საჭირო გახდეს მეტი ინვესტიციის ჩადება გარემოს დაცვის ტექნოლოგიებში. ის ნაგავსაყრელები, რომლებსაც ფლობს კომპანია, შორსაა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობისგან და უფრო მკაცრი კანონმდებლობა სავარაუდოდ, გამოიწვევს მნიშვნელოვან ჯარიმებს ადგილობრივ გარემოზე ზემოქმედებისთვის. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ამ მხრივ არსებითი ჯარიმები არ არის მოსალოდნელი.

ვალდებულებები

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება საბოლოო დახურვისა და დახურვის შემდგომ დანახარჯებს. კომპანიამ შექმნა ანარიცხები ამ ხარჯებთან დაკავშირებით, მაგრამ მენეჯმენტს შეეძლო შეეცვალა ეს ანარიცხები. მარეგულირებელი ცვლილებები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შემდგომ წლებში სწრაფად განვითარდება საქართველოში, დააჩქარებს ან გაზრდის ზემოაღნიშნულ ხარჯებს და კომპანიის ხარჯი ამჟამინდელ ანარიცხებთან შედარებით არსებითად მეტი იქნება.

18. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის

მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

დასახელება	31-დეკ-18		31-დეკ-17	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	3,528,486	3,528,486	15,938,086	15,938,086
დებიტორული მოთხოვნები	223,924	223,924	180,372	180,372
წინსწრებით გადახდილი გადასახადები	671,697	671,697	491,639	491,639
კრედიტორული დავალიანება	529,268	529,268	210,574	210,574

ცხრილში მოყვანილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე და არცერთ მათგანს არ ახასიათებს რაიმე სახის ხანდაზმულობა ამიტომ კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ ცხრილში მოყვანილი ანგარიშების სამართლიანი და საბალანსო ღირებულება ეთხვევა ერთმანეთს.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას არ აქვს ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ დამფუძნებლის, საქართველოს მთავრობის, დავალებით კომპანიამ შეიძინა და შემდეგ უსასყიდლოდ გადასცა მუნიციპალიტეტებს 10,000 ცალი, 5,531,850 ლარის ღირებულების, პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი, რომლებიც ამოღებული იქნენ კომპანიის კაპიტალიდან.

21. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში.

საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ძალიან მცირეა იმისთვის რომ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირება. კომპანია მთლიანად დამოკიდებულია მთავრობის შენატანებზე. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია ახლო

მომავალშიც განაგრძობს თავის საქმიანობას სახელმწიფოს მხარდაჭერით, რადგან იგი ემსახურება მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს, რომელიც მუდმივად უნდა გაგრძელდეს.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 31 მარტს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორების მოსაზრება

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	3
შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის” ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა	4
შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის” საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები	5
შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის” განვითარების გეგმები	11
ანგარიშგების ბოლო გვერდი	13

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ თანმხლები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“-მ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონის შესაბამისად საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებას, აუდიტის შედეგებს, მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი
დავით გვეტაძე



შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“
31 მარტი 2019 წელი

1. შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია”-ს ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია (კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის ბიზნეს მისამართი არის თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქუჩა #10 და იურიდიული მისამართია თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი #12. კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 24 აპრილს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/1045 ბრძანების საფუძველზე. კომპანიის 100% წილის მფლობელია სახელმწიფო, საქართველოს პრეზიდენტის №10/05/02 განკარგულების საფუძველზე, კომპანია 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

კომპანიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა და ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა. კომპანია მართავს 54 ნაგავსაყრელს ქვეყნის მასშტაბით (ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა).

კომპანიის 100% წილის მფლობელი სახელმწიფოა და მისი საქმიანობა არ წარმოადგენს მთლიანად კომერციულ ინტერესს, არამედ მიზნად ისახავს ემსახუროს საზოგადოებრივ ინტერესს. ფინანსური თვალსაზრისით ეს გულისხმობს რომ, მაშინაც კი როდესაც კომპანია არ გამოიმუშავებს შემოსავალს და ზარალის მომტანია, სახელმწიფო გააგრძელებს მის მხარდაჭერას და შესაბამისად კომპანია გააგრძელებს საქმიანობას.

2. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს საქმიანობის აღწერა და ძირითადი მაჩვენებლები

როგორც უკვე ვთქვით, კომპანია ახორციელებს მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსების პოლიგონებისა და ნარჩენების დაგამტვირთი სადგურების მართვას მთელი საქართველოს მასშტაბით, გარდა ქ. თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა. მყარი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება პოლიგონამდე (გარდა გადამტვირთი სადგურებიდან პოლიგონამდე ტრანსპორტირების) არ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ნაწილს, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. კომპანიის ძირითადი კლიენტები არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. წარმოდგენილ პერიოდებში კომპანია მუნიციპალიტეტებს უსასყიდლოდ უწევდა მომსახურებას. კომპანიის კლიენტები ასევე არიან კერძო კომპანიები, რომლებსაც აქვთ საწარმოო ნარჩენები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომპანია იღებდა შემოსავალს აღნიშნული კომპანიებიდან, თუმცა კერძო კომპანიებიდან მიღებული შემოსავალი და ნარჩენების მოცულობა არის უმნიშვნელო.

ანგარიშგების თარიღისათვის კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს 54 ნაგავსაყრელი. დღემდე კომპანიის მიერ დაიხურა 23 და კეთილმოეწყო 31 არსებული ნაგავსაყრელი და აშენდა 5 ნარჩენების გადამტვირთი სადგური. ქ.რუსთავში მდებარე ახალი პოლიგონის გარდა ყველა დანარჩენი არსებული ნაგავსაყრელი არის ძველი, რომლებიც გამოიყენება 10-60 წელია. კომპანია გეგმავს დახუროს ყველა ძველი ნაგავსაყრელი 2023 წლისთვის (2015 წელს მიღებული ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად) და მოაწყოს ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული პოლიგონები.

2015 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „ნარჩენების მართვის კოდექსი“. ახალი კანონის მიზანია, ნარჩენების მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნა ისეთი ღონისძიებების დანერგვისთვის, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნარჩენების წარმოქმნის პრევენციას, ხელახალი გამოყენების ზრდას, ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავებას და მათ უსაფრთხო განთავსებას. „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ითვალისწინებს ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომებისა და ევროპული სტანდარტების დანერგვას საქართველოში.

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ნარჩენების მართვა რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, რომლის მონაწილეცაა საქართველო. ეს კონვენციებია: ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ, სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლის შესახებ, როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ და გაეროს ეკონომიკური კომისიის კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხის შესახებ (ორჰუსის კონვენცია).

კომპანიის მიზანს წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა, ასევე ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობა, მართვა და თანამედროვე სანიტარული ნაგავსაყრელების ამოქმედება, რომელიც დაკავშირებულია მასშტაბური ინვესტიციების განხორციელებასთან. აღნიშნული მიმართულებით კომპანიის საქმიანობა ითვალისწინებს, როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას დაფინანსების მოძიების მიზნით.

კომპანია, ნარჩენების განთავსების და გადამუშავების შედეგად გარემოზე და ადამიანზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, საქართველოს რეგიონებში ნერგავს მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის მაღალ სტანდარტებს და ქმნის მოსახლეობისა და ეკოსისტემისათვის უსაფრთხო, რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების ოპერირების ნორმების შესაბამის სისტემებს.

შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის” დაქვემდებარებაში მყოფ საქართველოში არსებულ ნაგავსაყრელებზე ხორციელდება საყოფაცხოვრებო, მუნიციპალური და ზოგიერთი სახის სპეციფიური მყარი ნარჩენის მიღება, გარდა სახიფათო რადიაციული, სამედიცინო თუ სამხედრო ნარჩენებისა. ნარჩენების შეტანა ხდება როგორც მუნიციპალიტეტების, ასევე სხვა ცალკეული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ.

განთავსების საფასურს იხდიან მხოლოდ ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა მიერ წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება არ შედის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში. სხვადასხვა სახეობის ნარჩენის გადასახადი განსაზღვრულია წონის მიხედვით. იმ ნაგავსაყრელებზე სადაც არ არის დამონტაჟებული სასწორი, განსაზღვრა ხდება მოცულობის წონაში გადაანგარიშებით.

არსებული მდგომარეობით, ტარიფები განსაზღვრული არ არის მუნიციპალიტეტებისთვის და კომპანიის ხარჯების სუბსიდირება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილია განთავსების მომსახურების გაწევის ტარიფების შემუშავება, სადაც ნარჩენების ყველა შემომტანი, მათ შორის მუნიციპალიტეტი, გადაიხდის განთავსების საფასურს ნარჩენების წონის, მოცულობის, ტიპისა თუ შემადგენლობის მიხედვით.

ქ. რუსთავის ნაგავსაყრელი აღჭურვილია ნარჩენების დამხარისხებელი საამქროთი. ნარჩენების დამხარისხებელ ნაგებობაში, სპეციალურ ხაზზე, ხდება მიღებული ნარჩენებიდან რეციკლირებადი ფრაქციის გამოყოფა და შენახვა მათ გაყიდვამდე.

შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ხდება ისეთი ტიპის ნედლეულის ამოღება, როგორებიცაა პეტი, პლასტმასა (პეტის გარდა), მუყაო, ფერადი და შავი ლითონი და სხვა. დანარჩენი (არარეციკლირებადი) ნარჩენი ტრანსპორტირდება ნარჩენების განთავსების ნაწილში, სადაც ხდება მისი შემჭიდროება ბულდოზერის მეშვეობით და მიწით დაფარვა.

თავისი საქმიანობის მართვისას კომპანიის მმართველობა ეფუძნება ვერტიკალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. იგი განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობის ეკონომიკურ-ფინანსურ, პროგრამულ და ორგანიზაციულ-

სტრუქტურულ მიმართულებებს და ახორციელებს კომპანიის მიმდინარე ხელმძღვანელობას. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი. კომპანიის დირექტორს ყავს სამი მოადგილე, რომლებიც კომპანიის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს უძღვებიან.

დღეისათვის კომპანიაში 289 თანამშრომელი ირიცხება (აქედან ცენტრალურ ოფისში დასაქმებულია 58 თანამშრომელი, ხოლო დანარჩენები დასაქმებულნი არიან უშუალოდ რეგიონულ ოფისებში და მუნიციპალურ პოლიგონებზე) . გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კომპანია გეგმავს გაზარდოს ოპერაციები და მომავალში მოხდება პერსონალის რაოდენობის ზრდაც.

კომპანიის სტრუქტურა ქვემოთ არის მოყვანილი:



2018 წელს განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა და მართვა. ასევე, მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტებისათვის ნაგვის კონტეინერების მიწოდება. აღნიშნული პროგრამის დაფინანსება მიმდინარეობდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) საკრედიტო და საგრანტო რესურსებიდან და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2018 წელს განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალი:

- o დასრულდა ქ. საჩხერეს ნაგავსაყრელის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- o დასრულდა მესტიის გადამტვირთი სადგურის ნაპირდამცავი გაბიონის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- o დასრულდა ქ. ხაშურისა და ქ. გორის ნაგავსაყრელების ღობეების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- o შეძენილ იქნა ნარჩენების 10,846 კონტეინერი და გადაეცა მუნიციპალიტეტებს;
- o დასრულდა ქ. რუსთავის ნაგავსაყრელის მყარი ნარჩენების დახარისხების საამქროსათვის გათბობის, ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემის მონტაჟის სამუშაოები;
- o ქ. რუსთავის ნაგავსაყრელისათვის შეძენილ იქნა ბულდოზერი;
- o დასრულდა ქ. თერჯოლას ნაგავსაყრელის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- o დასრულდა ქ. ფოთის ნაგავსაყრელის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- o დასრულდა ქ. ქუთაისის ნაგავსაყრელზე ელექტროგადამცემი ხაზის გადატანისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

- o დასრულდა ქ. ქუთაისის ნაგავსაყრელზე ელექტროგადამცემი ხაზის გადატანის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- o ქ. რუსთავის ნაგავსაყრელისათვის შეძენილ იქნა ემისიების მონიტორინგის მოწყობილობა.
- o ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში (EU, KfW) მიღებულ იქნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნებართვა; მიღებულ იქნა პირობიანი სამშენებლო ნებართვა; ტენდერში გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება 7 265 565,19 ევროზე და კომპანიას ჩაერიცხა ავანსი 1 847 178 ევროს ოდენობით; მიმდინარეობდა საკონსულტაციო მომსახურება.
- o ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში (EBRD, SIDA) შერჩეულ იქნა ნაგავსაყრელის ასაშენებელი ახალი ტერიტორია ქვემო ქართლში; განხორციელდა წინასწარი კველვითი სამუშაოები და დონორ ბანკთან (EBRD) მიღწეულ იქნა შეთანხმება პროექტის სახელშეკრულებო ცვლილებებთან დაკავშირებით.
- o კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში (EU, KfW) მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის და პროექტის დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტის შესარჩევად.

3. კომპანიის განვითარების გეგმები

თავისი ფუნქციების ჯეროვნად შესასრულებლად კომპანიამ შეიმუშავა საშუალო ვადიანი განვითარების გეგმა რომელიც 2017 – 2023 წლებზეა გათვლილი. აღნიშნული გეგმების განხორციელებისათვის კომპანია მოიზიდავს დაფინანსებას არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურებიდან არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაც.

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, 2023 წლის ბოლომდე, ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია არსებული მუნიციპალური ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა და 8-10 ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელის მოწყობა (თბილისის და რუსთავის ნაგავსაყრელების ჩათვლით). კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის პროექტები:

რეგიონული პოლიგონი	მშენებლობის პერიოდი
იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	2019 – 2020
ქვემო ქართლი	2020 – 2021
კახეთი	2021 – 2022
სამეგრელო და ზემო სვანეთი	2021 – 2022
შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი	2022 – 2023

ქვემოთ მოყვანილია კომპანიის მიერ ჩამოყალიბებული რამოდენიმე ძირითადი მიმართულება.

Σ საქართველოში მყარი ნარჩენების მართვა

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაცია მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა). კომპანიის საკუთრებაში გადმოცემული პოლიგონების სანიტარული წესებისა და ნორმების შესაბამისად მოწყობა-ექსპლუატაცია, საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების წარმოება და მათი ეტაპობრივი დახურვა.

) ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი

პროექტის აღწერა და მიზანი: იმერეთში ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა, რომელიც მოემსახურება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონებს. ასევე, გადამტვირთი სადგურების მოწყობა და ქუთაისის მოქმედი ნაგავსაყრელის დახურვა. პროექტი ითვალისწინებს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვას იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთის რეგიონებში. პროექტი ასევე მოიცავს ნარჩენების მოგროვების, ასევე

მუნიციპალიტეტებისთვის ქუჩების დასუფთავების სისტემის გაფართოებასა და გაუმჯობესებას, ნარჩენების გადაზიდვის განახლებული სისტემის დანერგვას.

პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 26 მილიონ ევროს. მათ შორის:

- სესხი - 20 მილიონი ევრო
- გრანტი - 3,6 მილიონი ევრო (ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო ფონდი - NIF)
- ადგილობრივი კონტრიბუცია - 4 მილიონი ევრო

განხორციელების ვადები: 2015-2020

) ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი

პროექტის აღწერა და მიზანი: ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი გულისხმობს მყარი ნარჩენების მართვის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ინტეგრირებული სისტემის განვითარების ხელშეწყობას ქვემო ქართლის რეგიონში. პროექტის მიზანია ქვემო ქართლის ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება ქვემო ქართლის 5 მუნიციპალიტეტს (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი) და მოხდება მათი აღჭურვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

პროექტის საერთო ღირებულება/ბიუჯეტი შეადგენს 12,3 მილიონ ევროს. აქედან:

- სესხი - 7 მილიონი ევრო
- კაპიტალური გრანტი - 3 მილიონი ევრო
- ტექნიკური თანამშრომლობის გრანტი - 1,1 მილიონი ევრო.
- სავარაუდო ადგილობრივი კონტრიბუცია – 1,2 მილიონი ევრო.

სესხი და კაპიტალური გრანტი იყოფა ორ ტრანშად:

ტრანში 1: სესხი 4,3 მლნ ევრო და გრანტი 1,8 მლნ ევრო, რომელიც ითვალისწინებს ნაგავსაყრელის მშენებლობას, ნაგავსაყრელის ოპერირებისთვის აუცილებელი აღჭურვილობის/დანადგარების შეძენას.

ტრანში 2: სესხი 2,7 მლნ ევრო და გრანტი 1,2 მლნ ევრო, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ ნაგავმზიდი მანქანებისა და ნაგვის ურნების შეძენას და ურნების განთავსებისთვის განკუთვნილი ბეტონის პლატფორმების მოწყობას.

განხორციელების ვადები: 2015-2021

Σ კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი.

პროექტის აღწერა და მიზანი: კახეთისა და სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონებში 2 ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა, არსებული ნაგავსაყრელების დახურვა. პროექტი ასევე მოიცავს გადამტვირთი სადგურების მშენებლობას, დასუფთავების მანქანების შეძენას, მყარი ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის მანქანების შეძენას, კახეთის რეგიონში კომპოსტირების პილოტური ქარხნის მშენებლობას და არსებული ნაგავსაყრელების დახურვას.

განხორციელების ვადები: 2017-2022

Σ ცენტრალური საქართველოს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი.

პროექტის აღწერა და მიზანი: შიდა ქართლის, მცხეთა მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების აშენება, გადამტვირთი სადგურების მოწყობა, მუნიციპალიტეტების შესაბამისის ტექნიკით აღჭურვა და მოქმედი არსებული ნაგავსაყრელების დახურვა.

განხორციელების ვადები: 2020-2023

ყველა ზემოთ მოყვანილი პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება საქართველოს მასშტაბით მყარი ნარჩენების ძველი პოლიგონების დახურვა და ახალი ევროპული სტანდარტების შესაბამისი ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება.

აღნიშნულ რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებს ნარჩენების მართვის თანამედროვე გაუმჯობესებულ სისტემას. ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობისა და არსებული ნაგავსაყრელების რეაბილიტაციის შედეგად შემცირდება მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“

დირექტორი

გიორგი შუხოშვილი